

თიბისი ბანკმა 161 მილიონი აშშ დოლარი მოიზიდა

სიახლე ბანკის აქციონერთა სტრუქტურაში

პრესრელიზი

თბილისი, 7 აპრილი, 2009 – დღეს 12:00 საათზე, თიბისი ბანკში (მარჯანიშვილის ქ. 7) გაიმართება პრესკონფერენცია, რომელზეც ოფიციალურად გაკეთდება განცხადება ბანკის კაპიტალში ახალი აქციონერების შემოსვლის თაობაზე. თიბისი ბანკის აქციონერთა რიცხვს ემატება 4 უმსხვილესი საერთაშორისო ინსტიტუტი – ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანია FMO, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი EBRD, აშშ-ს მსხვილი ბანკი და ინვესტიციების მართვის ბრიტანული კომპანია. პრესკონფერენციაზე ასევე გაცხადდება თიბისი ბანკის მიერ 161 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსის მოზიდვის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - IFC, EBRD და FMO მიერ თიბისი ბანკში ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციას.

აღნიშნული ტრანზაქციის შედეგად, თიბისი ბანკის აქციებს უკვე ექვსი უმსხვილესი საფინანსო ინსტიტუტი ფლობს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამავდროულად ყველა ეს ინსტიტუტი წარმოადგენს მინორიტარულ აქციონერს, ხოლო ბანკის უმსხვილეს აქციონერად კვლავ ქართველ აქციონერთა ჯგუფი რჩება და ბანკის მენეჯმენტში არანაირი ცვლილება არ იგეგმება.

ცნობისთვის: IFC და DEG თიბისი ბანკის აქციების მფლობელები 2000 წელს გახდნენ.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba3

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.

მოზიდული რესურსის ერთი ნაწილი მოხმარდება ბანკის კაპიტალის გაზრდას, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს გრძელვადიან საკრედიტო რესურსს, რომელიც ბანკს საშუალებას მისცემს, განახორციელოს აქტივობა მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე ფიზიკური პირების სეგმენტებზე.

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბადრი ჯაფარიძის განცხადებით „გლობალური კრიზისა და აგვისტოს მოვლენების მიუხედავად, თიბისი ბანკმა შეინარჩუნა სტაბილურობა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი ფინანსური ინსტიტუტის სიძლიერე და მოქნილობა. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც წლების განმავლობაში ჩამოგვიყალიბდა მსოფლიოს წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან. მოზიდული ფინანსური რესურსები თიბისი ბანკს საშუალებას მისცემს გააგრძელოს აქტიური მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროცესში“.

„ამ ინვესტიციის განხორციელება საქართველოში IFC-ის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც საბანკო სექტორის მხარდაჭერისა და კერძო სექტორის შემდგომი განვითარების მიმართულებით დამატებითი შესაძლებლობების შექმნას ითვალისწინებს. თიბისი ბანკი ინარჩუნებს საბანკო სექტორში მყარ პოზიციას და განაგრძობს მცირე და საშუალო ბიზნესისა და სამომხმარებლო სეგმენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ველით, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ბანკის წილი ბაზარზე კიდევ უფრო გაიზრდება. მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები შემოგვიერთდნენ და ერთობლივი ძალებით ვუჭერთ მხარს თიბისი ბანკს - ჩვენს გრძელვადიან პარტნიორს, სწორედ ამაში გამოიხატება ის ნდობა, რომელიც თითოეულ საერთაშორისო ინსტიტუტს ბანკის მიმართ აქვს“ - განაცხადა IFC-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის დირექტორმა, სნეუანა სტოილჯკოვიჩმა

ის თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.

დამატებითი ინფორმაცია:

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, რომელიც ეხმარება ხალხს სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ჩვენ ხელს ვუწყოთ განვითარებად ქვეყნებში მდგრად ეკონომიკურ ზრდას კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერის გზით, ასევე კერძო კაპიტალის მობილიზებით, ბიზნესისა და ქვეყნების მთავრობებისათვის საკონსულტაციო და რისკის შემცირებასთან დაკავშირებული პროგრამებით. 2008 ფისკალურ წელს ჩვენს მიერ ახლადგანხორციელებულმა ინვესტიციამ 16,2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რითაც წინა წელთან შედარებით 34%-იანი ზრდა დაფიქსირდა. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.ifc.org

გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG) თიბისი ბანკის ერთ-ერთი საერთაშორისო სტრატეგიული პარტნიორია. ამ ორი ინსტიტუტის თანამშრომლობა 1998 წლიდან დაიწყო, როდესაც DEG-მ თიბისი ბანკს გაუხსნა საკრედიტო ხაზი 3 მილიონი გერმანული მარკის ოდენობით. 2000 წელს DEG თიბისი ბანკის ერთ-ერთი აქციონერი გახდა.

ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა კომპანიამ (FMO) და სააქციო საზოგადოება “თიბისი ბანკმა” თანამშრომლობა 2006 წელს დაიწყო, მას შემდეგ ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა კომპანიამ თიბისი ბანკს უკვე 45 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება მისცა. დღეისათვის ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანიის მიზანია საინვესტიციო აქტივობების განხორციელებით ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორისა და ეკონომიკური სტაბილურობის განვითარებას.

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და თიბისი ბანკი პარტნიორები 1996 წლიდან არიან, როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისათვის გამოყოფილი 3 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზით თიბისი ბანკის მიერ დაფინანსებულ იქნა ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა დარგში მოქმედი ათეულობით ქართული საწარმო, დღეს უკვე თიბისი ბანკი სარგებლობს იბიარდის მიერ მოწოდებული 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ფინანსური რესურსით.

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოიჩინა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი ჯერძო პირები.